

**იმიგრანტთა უფლებები და მათი შეზღუდვის ცალკეული შემთხვევები საქართველოში**

ნაშრომი მომზადებულია თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტებზე. იგი წარმოადგენს პირველ სერიოზულ ცდას საქართველოში უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის, მათი უფლებებისა და პასუხისმგებლობის გამოკვეთილად დახასიათებისა და ანალიზისას, რაც საინტერესო იქნება არა მხოლოდ სტუდენტებისათვის, არამედ აღნიშნული პრობლემებით დაინტერესებული ნებისმიერი პირისათვის.

**ნაშრომის შესახებ**

კაცობრიობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე საერთაშორისო სამართლის დაცვის ძირითად ობიექტს წარმოადგენს ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, მათი რეალური აღიარებისა და განხორციელების გარანტიები. სახელმწიფოებრივი, საჯარო ინტერესები თანდათან უკანა პლანზე გადადის და ადგილს უთმობს ადამიანის სასიცოცხლო ინტერესების აღიარებას. ამის ნათელი დადასტურებაა ისიც, რომ 1948 წლის 10 დეკემბრის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის ამოქმედების შემდგომ არაერთი ამავე რანგის საერთაშორისო აქტი იქნა მიღებული ინდივიდის ცალკეულ უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მიზნით, მაგალითად, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, შრომითი დასაქმებისა და შრომითი მიგრაციის შესახებ, მართლმსაჯულების ძირითადი პრინციპების შესახებ და სხვა. ის დოკუმენტებიც კი, რომლებიც ეძღვნება საერთაშორისო წესრიგის ცალკეულ საკითხებს, მიუთითებენ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის აუცილებლობაზე.

მიუხედავად იმისა, რომ ყოველ ადამიანს დაცული უნდა ჰქონდეს ერთნაირი ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, არათანაბარია მათი განხორციელებისა და უზრუნველყოფის ფარგლები. როგორც ცნობილია, სახელმწიფოს მოსახლეობა შედგება როგორც საკუთრივ ამ ქვეყნის მოქალაქეთაგან, ისე დროებით ან მუდმივად მცხოვრებ უცხოელთა და აპატრიდთაგან. მათი განსხვავებული იურიდიული სტატუსი განაპირობებს, შესაბამისად, მათ განსხვავებულ სამართლებრივ მდგომარეობასაც ამა თუ იმ ქვეყანაში. აღნიშნულის გათვალისწინებით, წინამდებარე ნაშრომში შევეცადეთ წარმოგვეჩინა ის თავისებურებანი, რაც ახასიათებს უცხოელთა სამართლებრივ მდგომარეობას საქართველოში, კერძოდ კი, შევეხეთ მათი უფლებების დაცვის სამართლებრივ გარანტიებს და პასუხისმგებლობის გამოყენების პირობებს, ამ კუთხით მოქმედი კანონმდებლობის ნაკლოვანებთა აღმოფხვრისა და შემდგომი სრულყოფის პერსპექტივებს.

ნაშრომი წარმოადგენს პირველ მოკრძალებულ ცდას საქართველოში უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის, მათი უფლებრივი სტატუსის ცალკე გამოკვეთილად დახასიათებისა და ანალიზისას, რაც საინტერესო იქნება არა მხოლოდ თეორეტიკოსი თუ პრაქტიკოსი მუშაკებისათვის, არამედ თვით ჩვენს ქვეყანაში მყოფი იმიგრანტებისა და უცხო ქვეყნების სამიგრაციო პრაქტიკოსებისათვისაც.

შინაარსი:

1. შესავალი
2. თავი I. იმიგრანტთა უფლებების დაცვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი გარანტიები
3. თავი II. იმიგრანტთა უფლებების სასამართლო გარანტიები
4. თავი III. იმიგრანტის სტატუსის შეწყვეტა და საქართველოდან გაძევების საფუძვლები
5. § 1. საქართველოში იმიგრანტის სტატუსის შეწყვეტის თავისებურებანი
6. § 2. უცხოელის საქართველოდან გაძევების საფუძვლები
7. თავი IV. უცხოელის დეპორტაცია საქართველოდან
8. § 1. უცხოელის საქართველოდან გაძევების არსი და მისი პროცედურული წესები
9. § 2. უცხოელის საქართველოდან გაძევება, როგორც ადმინისტრაციული სახდელი
10. დანართები N1 – 7
11. გამოყენებული ლიტერატურა